ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5391706

ნომერი: AR1817002

თარიღი : 13.04.2021

გაცემის თარიღი : 29.04.2021

გაცნობის თარიღი : 30.04.2021

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ნინო აბაშიძე-ორბელიანის ქუჩა, N 43;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ილია სარიშვილი პ/ნ 26001000536
- ლანჩხუთი ს. მაჩხვარეთი

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში წარმოდგენილი თქვენი 2021 წლის 13 აპრილის №AR1817002 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ 2021 წლის 09 აპრილს № AR1816803 განცხადებით სამსახურს მომართა ლევანი ოქროპირიძემ და მოითხოვა ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, ნინო აბაშიძე-ორბელიანის ქუჩა №43-ში, №01.72.14.037.343 საკადასტრო კოდით

რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება. აღნიშნულ განცხადებაზე სამსახურის 2021 წლის 26 აპრილის №5382926 გადაწყვეტილებით განმცხადებელს დაევალა დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენა, რისთვისაც განესაზღვრა შესაბამისი ვადა.

“საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის” 101-ე მუხლის მიხედვით, მშენებლობის ნებართვა გაიცემა ორ სტადიად, გარდა ამ კოდექსის 108-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა (სამსტადიიანი წარმოება): ა) I სტადია – მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება და ბ) II სტადია – მშენებლობის ნებართვის გაცემა. მშენებლობის ნებართვის გაცემის თითოეულ სტადიაზე მიმდინარეობს დამოუკიდებელი ადმინისტრაციული წარმოება. კანონმდებლობა, ასევე, განსაზღვრავს განმცხადებლის მიერ მშენებლობის ნებართვის გაცემის თითოეულ სტადიაზე წარმოსადგენ დოკუმენტაციას.

გაცნობებთ, რომ ამ ეტაპზე ზემოაღნიშნულ საპროექტო მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.72.14.037.343) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება, არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა არ მომხდარა. განგიმარტავთ, რომ შენობა-ნაგებობის მშენებლობის განხორციელების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს მშენებლობის ნებართვა.

დამატებით განგიმარტავთ, რომ თქვენს დაინტერესებაში არსებულ ობიექტთან დაკავშირებით შეტყობინების განსახორციელებლად განცხადება შეგიძლიათ დაარეგისტრიროთ სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.tas.ge), შემდეგი ნომენკლატურით: ელექტრონული განაცხადები - საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა - შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე - შემდეგ ატვირთოთ თქვენ ხელთ არსებული დოკუმენტაცია და შესაბამისი განმარტება. გაითვალისწინეთ, რომ საჭიროა წარმოდგენილ შეტყობინებაში ნათლად და გარკვევით დაფიქსირდეს რატომ ეწინააღმდეგებით კონკრეტულ სამშენებლო სამუშაოებს (რა ნორმებს ეწინააღმდეგება შესათანხმებელი სამშენებლო სამუშაოები) და რა ზიანი გადგებათ განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოებით. საჭიროების შემთხვევაში, წარმოდგენილ უნდა იქნას თქვენ მიერ დაფიქსირებული გარემოებების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია.

გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.